განმარტებითი ბარათი

ქვემოთ აღნიშნული დასკვნა მომზადებულია საპროექტო ტერიტორიაზე რეკონსტრუქციის პროექტის სამშენებლო ნებართვის ფარგლებში (ბრაძანება #5106822).
რეკონსტრუქციის დროს დენდროლოგიური პროექტით გათვალისწინებული იყო მწვანე ნარგავების დროებითი გადარგვა სპეციალურ რეზერვუარებში და შემდგომ დარგვა პროექტით გათვალისწინებულ ადგილას. ყველა ნარგავი ამჟამად იმყოფება სპეციალურ ქოთნებში . იხილეთ ფოტომასალა.







ს/კ 01009011319 მის. თბილისი, გლდანის VIII მ/რ, კორპ. 27, ბინა 100, ელ. ფოსტა: a.aptsiauri13@gmail.com
ტ. 551 156 154

№68 6 ივნისი 2019 წ.

დასკვნა

მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ

ა/წლის 5 ივნისს ქალაქი თბილისი, ქუჩა მაყაშვილი, №31, ნაკვეთი 71/18 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.15.02.071.027) არსებულ ტერიტორიაზე დამკვეთის შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“-ს მომართვის საფუძველზე მეტყევე-მეცნიერის მიერ (სატყეო საქმის მეტყევე-ინჟენერი) შემოწმდა მწვანე ნარგავების ფიზიკური მდგომარეობა. ვიზუალურად დათვალიერებული და სატყეო ტაქსაციაში მიღებული მეთოდების მიხედვით აღწერილი და შეფასებული იქნა იქ განლაგებული ხე-მცენარეები.

ხის დიამეტრი დადგინდა საზომი ორთითით ორი ურთიერთპერპენდიკალური მიმართულებით მიწის პირიდან 10 სმ სიმაღლეზე გაზომვით და შუაზე გაყოფით.

ტერიტორიაზე განლაგებულია სულ 10 ძირი 5 სახეობის მწვანე ნარგავი. ფოთლოვანი სახეობის 4 ძირი: №1 - დაფნა, №2, 3 და 10 - ვაზი, წიწვოვანი სახეობის ერთი ძირი - №8 - ტუია, პალმების სახეობის: №9 - ფინიკის პალმა, №4, 5, 6 და 7 - იუკა. ამათგან ხილ-კენკროვანია სამი ძირი: №2, 3 და 10 - ვაზი. დამკვეთს სურვილი აქვს გადარგოს პალმის, იუკასა და ტუიას ხე-მცენარეები. ყველა სხვა მწვანე ნარგავი ადგილზე დატოვოს. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაფნისა და ტუიას ხე-მცენარეები განლაგებული არიან საცხოვრებელი სახლის კედლიდან ნახევარ მეტრზე ახლოს, ეს მდგომარეობა კიართულებს ამ ხე-მცენარეების მოთხრისა და გადარგვის სამუშაოებს.

გადარგვა მოხდება უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობით დამკვეთის მიერ შერჩეულ ადგილზე აგროტექნიკური პირობების დაცვით. ამ ნარგავების ფესვის ყელის ღეროს გარშემო წრიულად 20 - 50 სმ-ის რადიუსით ნიადაგი მოითხრება იმგვარად, რომ არ დაზიანდეს ნარგავის ფესვთა სისტემა. ორმოს სიღრმე იქნება იმ ზომის გათვალისწინებით, რომ ფესვთა სისტემა მიწის კომთან ერთად უნდა იყოს ნარგავის სიმაღლის მესამედი (მცირე და საშუალო დიამტრის მქონე ხე-მცენარეებისათვის, ხოლო მსხვილი დიამეტრის (36 სმ და მეტი) ხე-მცენარებისათვის 2 – 2,5 მეტრის სიგრძის ფესვი). გადარგვამდე ფოთლოვანი ხის

ღერო უნდა გადაიბელოს, ხოლო წიწვოვანი ხის ვარჯი შეიკვეცოს. გადარგვა უნდა მოხდეს გათხრილ ორმოში იმ პირობით, რომ ორმოს სიგანე და სიღრმე უნდა იყოს საკმარისი, რომ გადარგული ნარგავის ფესვები თავისუფლად ჩაეტიოს ორმოში. გადარგვამდე ორმოში უნდა ჩაისხას წყალი, რომ მიწა გაიჟიჟოს წყლით. სასურველია ორმოში ჩასაყრელი მიწა იყოს შავმიწა ნიადაგი გაჯერებული ორგანული სასუქების ნაზავით და ზრდის სტიმულატორით „რაანი“-თ. გადარგვის შემდეგ ხე უნდა გამაგრდეს მინიმუმ ორი ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიწაში ჩასობილი ჭიგოს სამაგრებით. გადარგვიდან ერთი თვის განმავლობაში რეგულარულად უნდა მოირწყას ნარაგვები, გაუფხვიერდეს მიწა ღეროს გარშემო, გაუკეთდეს ჯამი წყლის (წვიმის წყლისთვისაც) შესაკავებლად. გადარგული ნარაგვების მოვლის (რწყვა და მიწის გაფხვიერება) სამუშაოები უნდა გაგრძელდეს გაზაფხულზე. განსაკუთრებული მოვლა დასჭირდება ზაფხულის ცხელი დღეების პირობებში, ანუ ყოველ მესამე დღეს დილით ადრე ან საღამოს დაბინდებამდე უნდა მოირწყას იმ ანგარიშით, რომ ყოველი ნარგავის ნიადაგმა ცალ–ცალკე ერთი ვედროს (10 ლიტრი) ოდენობის წყალი შეიწოვოს.

ცხრილში მოცემულია ქალაქი თბილისი, ქუჩა მაყაშვილი, №31, ნაკვეთი 71/18 მისამართის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.071.027) ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების სახეობები, მათი ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

№ რიგზე	მერქნიანი სახეობა	D_{10} დიამეტრი 10 სმ-ზე	შენიშვნა
1	დაფნა	12,8	ჯანსაღი
2	ვაზი	4,3 – 7,8	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი, 2 ძირი
3	ვაზი	4,3 – 5,4	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი, 2 ძირი
4	იუკა	12,7	ჯანსაღი
5	იუკა	14,8	ჯანსაღი
6	იუკა	14,4	ჯანსაღი
7	იუკა	5,2 - 6,2	ჯანსაღი, 3 ძირი
8	ტუია	11,1	ჯანსაღი
9	პალამა	21,9	ჯანსაღი
10	ვაზი	6,2	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი, 2 კაპი

ალექსანდრე აფციაური

პროფესორი, სატყეო საქმის მეტყევე-მეცნიერი
ლიცენზირებული და სერთიფიცირებული ექსპერტი



არსებული
მწვანე ნარგავების გეგმა
მ 1:400

ქ. თბილისი, მაყაშვილის ქუჩა, №31
მიწის ნაკვეთის №01.15.071.027
ფართი-317.00 მ²,
არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების

საპროექტო
ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების
ჩამონათვალი იხილეთ
მ.გ. ალექსანდრე აფციაურის დასკვნა
№65-ში, 2 ივნისი 2019 წელი

პირობითი ნიშნები:

- ხელუხლებელი
- გადასარგავი
- მოსაჭრელი
- საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
- ნაკვეთების საზღვრები
- 000 WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს — საცხ. შენობა	ხის ღობე	ჴ — წყალგაყვანილობა	გარე განათება
ქა — არასაცხ. შენობა	ღობე	გ — გაზი	სამეთვალყურეო ჭები
ფარდული	ქვის კედელი	კ — კანალიზაცია	პალმა
მშენებარე შენობა	კედელი	სან — სანიაღვრე	ვაზი
სატრანსფორ. ჯიხური	ფლატე	კგ — კავშირგაბმულობა	ფოთლოვანი ხე
	რკინიგზა	ელ. ქსელები	წიწვოვანი ხე
	თგ — გათბობა		ბუჩქი, ბალახი, ძირკვი

მ.გ. ალექსანდრე აფციაური		ქ. თბილისი, მაყაშვილის ქუჩა, №31 მიწის ნაკვეთის №01.15.071.027	
დამკვეთი	შპს „სამშენებლო კომპანია ძალიანი"	დენდროკვლევა	2019
შემსრულებელი	ა. აფციაური	არსებული მწვანე ნარგავების გეგმა	სტადია / ფურცელი / ფურცლ. რაოდ. / მასშტაბი
ექსპერტი	ა. აფციაური	საფუძველი-დასკვნა №68, 6.06.2019 წ.	1:400



დაფნა 1



ვაზი 2



ვაზი 3



იუკა 4



იუკა 5



იუკა 6



იუკა 7



პალმა 8



პალმა 9



ვაზი 10



ტუია სახლის კედელთან



ტუია შენობის კედელთან



დაფნა შენობის კედელთან (ერთი პოზიცია)



დაფნა შენობის კედელთან (მეორე პოზიცია)